



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმე №023/15

1. ფაქტები

საჩივრის ავტორი ბ.ბ. აწარმოებს სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ დავას, როგორც საქალაქო სასამართლოში, ისე პროკურაში, უკანონოდ ქონების განკარგვასთან დაკავშირებით. ბ.ბ.-მ მიმართა ადვოკატ ი.ნ.ს იურიდიული მომსახურების მიღების თაობაზე. ბ.ბ.ის პროცესიულ მოწინააღმდეგე მხარეებს სამოქალაქო საქმეზე წარმოადგენდნენ შპს “X”, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვ.მ. და საქართველოს მოქალაქეები: ნ.ჭ. და ნოტარიუსი მ.კ. საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარეების ვ.მ.-სა და შპს “X”-ის წარმომადგენლად სააპელაციო საჩივარზე მითითებულია ი.ნ., რომელიც, როგორც წარმომადგენელი, თავისი სახელით აწერს ხელს აღნიშნულ შესაგებელს. ბათუმის რაიონულ პროკურატურაში ნ.ჭ.-სა და ნოტარიუს მ.კ.-ს წინააღმდეგ გამოძიების დაწყების მოთხოვნის თაობაზე ბ.ბ.ის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ი.ნ..

2. პროცესუალური ისტორია

2015 წლის 24 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ბ.ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი.ნ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიამ 2015 წლის 23 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ი.ნ.ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან ადვოკატმა ი.ნ.მ ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე განახორციელა ისეთი ქმედება, რომელმაც საფრთხე შეუქმნა საჩივრის ავტორის, როგორც მისი კლიენტის ინტერესებს, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ, მე-6 მუხლის პირველი და მე-5 ნაწილები ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ადვოკატი ი.ნ. ერთდროულად ახორციელებდა, როგორც საჩივრის ავტორის, ისე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, რითაც უხეზად დაარღვია ადვოკატის პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი, კერძოდ, ექვევემ დააყენა მის მიმართ კლიენტის ნდობა.

3. სამართლებრივი ანალიზი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმი მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი.ნ.ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.

შესაძლოა, ადვოკატს დაერღვია ვალდებულება, არ დაემყარებინა ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის ფროფესიულ საქმიანობასა და დამოუკიდებლობას. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას. აგრეთვე, ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ.

მოცემულ შემთხვევაში, ი.ნ.მ მოამზადა საჩივრის ავტორის სააპელაციო საჩივარი და მისი მოწინააღმდეგე მხარის სააპელაციო შესაგებელი. აღნიშნული ბ.ბ.ისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ სააპელაციო შესაგებლის მიღების შემდეგ. ი.ნ.მ განუმარტა კლიენტს, რომ საქმე იყო პერსპექტიული



და საქმის გაცნობის დროს დაასახელეს ასევე მოწინააღმდეგე მხარეები. ის ფაქტი, რომ ადვოკატი დიდი დროის განმავლობაში იცნობდა მოწინააღმდეგე მხარეს მათთვის ცნობილი გახდა ეთიკის კომისიაში ი.ნ.ს მიერ მიცემული ახსნა-განმარტებიდან. ადვოკატი დაჰპირდა, რომ მონაწილეობას მიიღებდა, როგორც სიხლის, ისე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით საქმის წარმოებაში. ი.ნ.ს საქმის გაცნობისთანავე შეეძლო მოწინააღმდეგე მხარის იდენტიფიცირება და მას შეეძლო მაშინვე განემარტა, რომ იგი იცნობდა მოწინააღმდეგე მხარეს და ვერ დაიცავდა მის ინტერესებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ადვოკატი ი.ნ. მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, მან საფრთხე შეუქმნა თავის პროფესიულ საქმიანობასა და დამოუკიდებლობას, საფრთხეში ჩააყენა კლიენტის ინტერესები.

შესაძლოა, ადვოკატ ი.ნ.ს დაერღვია კონფიდენციალობის პრინციპი. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 პირველი პუნქტის მუხლის მიხედვით, ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

მოცემულ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა ი.ნ.-მ ხელი მოაწერა მნიშვნელოვან დოკუმენტზე - სააპელაციო შესაგებელზე წარმომადგენლის სახით და შემდგომ სააპელაციო შესაგებელი წარადგინა სასამართლოში. ორივე ქმედება თავის მხრივ გულისხმობს ინფორმაციის შესწავლა-დამუშავებას, მათ შორის კონფიდენციალური ინფორმაციის, რაც მიუთითებს ნდობის დარღვევისა და კონფიდენციალურობის ხელყოფის საფრთხეს. ნდობის პრინციპზე დაფუძნებით, კლიენტს (ბ.ბ.ს) გააჩნია მოლოდინი, რომ ადვოკატი განახორციელებს მისი ინტერესების დაცვას და მის მიერ ადვოკატისთვის მიწოდებული ინფორმაცია არ იქნება გამოყენებული მისი ინტერესების საზიანოდ. ადავოკატმა ი.ნ.მ დაარღვია კონფიდენციალობის პრინციპი, რადგან მან ხელი მოაწერა მნიშვნელოვან დოკუმენტზე - სააპელაციო შესაგებელზე წარმომადგენლის სახით და შემდგომ სააპელაციო შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

შესაძლოა, ი.ნ.მ თავისი ქმედებით შექმნა ინტერესთა კონფლიქტი. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი და მე-5 ნაწილების მიხედვით, ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. აგრეთვე, ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.

მოცემულ შემთხვევაში, ი.ნ.მ მოწინააღმდეგე მხარისთვის წარმომადგენლობის გაწევით დაარღვია ეთიკური ვალდებულებები, რომელიც გააჩნდა ბ.ბ.ის მიმართ. მას მოწინააღმდეგე მხარისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევამდე უნდა შეეფასებინა ის რისკები, რაც დაკავშირებულია ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხესთან. აღნიშნულის გაუთვალისწინებლობით, ი.ნ.მ შექმნა ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან ერთდროულად წარმომადგენლობა გაუწია, როგორც ბ.ბ.ს, ასევე მის მოწინააღმდეგე მხარეს.